# ხობის მოამბე

№7 (7122) 13 აგვისტო, ხუთშაბათი, 2020 წელი.
ფასი 0.70 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო


## აგვისტოს გმირები

## „მათ რამდენიმე გაზაფხული იქმარეს მხოლოდ, დანარჩენი კი სამშობლოსთვის შეუწირიათ!..“



8 აგვისტოს, ხობის მუნიციპალიტეტში, აგვისტოს ომის დროს დაღუპული 9 ხობელი გმირის ხსოვნას პატივი მიაგეს და მემორიალი ყვავილებით შეამკეს საქართველოს პარლამენტის ხობის მაჟორიტარმა დეპუტატმა **ირაკლი (დაჩი) ბერაიამ**, ხობის მუნიციპალიტეტის მერმა **გოჩა ქაჯაიამ**, საკრებულოს თავმჯდომარე **ედიშერ ჯობავამ,** მერის მოადგილე **მახარე ჩოკორაიამ,** საკრებულოს კულტურის, განათლებისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **დოდო გაბუნიამ**, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლებმა.



„8 აგვისტო, თანამედროვე საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული დღეა. უთანასწორო ბრძოლას ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილები შეეწირნენ. ეს დღე განსაკუთრებით მძიმეა ჩვენთვის, ხობელებისთვის, რადგან აგვისტოს ომმა ცხრა რჩეული ხობელი ვაჟკაცის სიცოცხლე შეიწირა.

კიდევ ერთხელ ვუსამძიმრებ დაღუპულთა ოჯახებს და ქედს ვიხრი სამშობლოს ერთიანობისთვის თავდადებული ხობელი გმირების წინაშე“–სიტყვით მიმართვისას აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა ქაჯაიამ.

მემორიალთან **გოგა ბერაიას, მიხეილ იოსავას, ლევან ჭოჭუას, დათა ხურცილავას, გოგა ჭითანავას, ზვიად დათუაშვილის, ლევან ტურავას, გოგიტა ქარჩავას და რამაზ კიტიას** სახელთა უკვდასაყოფად ფოტო გამოფენა და ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია „აგვისტოს გმირები“ გაიმართა.

საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი ხობის წმინდა სამების სახელობის ეკლესიაში, მღვდელმა **კირიონმა (დარასელია)** გადაიხადა.

## „ცოტნეობა“–2020







გუშინ, 12 აგვისტოს, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდა ცოტნე აღმსარებლის ხსენების დღე აღნიშნა.

ცოტნეობის დღესასწაულთან დაკავშირებით ხობის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში წირვა-ლოცვა ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა **გრიგოლმა (ბერბიჭაშვილი),** ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტ **თეოდორესთან (ჭუაძე),** სურამისა და ხაშურის მიტროპოლიტ **სვიმეონთან** და ეპარქიის სამღვდელოებასთან ერთად აღავლინა.

ღვთისმსახურების დასრულების შემდეგ საკათალიკოსო სასახლეში გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია–თემაზე **„ცოტნე დადიანის ეპოქა“** (მომხსენებლები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი–**რევაზ პაპუაშვილი**, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **იგორ კეკელია** და ისტორიკოსი **გოგიტა ჩიტაია**).

„ცოტნეობის“ დღესასწაულისადმი მიძღვნილ ღონისძიებას მეუფეებთან ერთად, საქართველოს პარლამენტის წევრები **ირაკლი (დაჩი) ბერაია, გიგა ბუკია, ირაკლი ხახუბია,** სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე **ლუდუკი ხასია**, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას შვილი **გიორგი გამსახურდია**, ხობის მუნიციპალიტეტის მერი **გოჩა ქაჯაია**, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ედიშერ ჯობავა** და მერის მოადგილე **მახარე ჩოკორაია** ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან და მოწვეულ სტუმრებთან ერთად ესწრებოდნენ.

# დაიჯესტი

## მთავრობა 17 წლამდე ბავშვებს ერთჯერადად 200 ლარით დაეხმარება



საქართველოს პრემიერ-მინისტრის, გიორგი გახარიას განცხადებით, საქართველოს ყველა მოქალაქე, 17 წლამდე ბავშვი ერთჯერადად 200-ლარიან დამხარებას მიიღებს.

გახარიას თქმით, კრიზისის პერიოდში ბავშვების სოციალური დახმარების კუთხით, ეს ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება.

„ეკონომიკურ კრიზისში, ჩვენს მოქალაქეებს და პირველ რიგში 17 წლამდე ბავშვებს სახელმწიფოს მხრიდან ექნებათ დახმარება 200 ლარის ოდენობით და ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალური დახმარება ბავშვების კრიზისში და რა თქმა უნდა, სასწავლო წლის დაწყებამდე, ასევე სასწავლო წლის დაწყების პროცესში. რომ შევაჯამოთ, საქართველოს ყველა მოქალაქე 17 წლამდე ბავშვი, სახელმწიფოს მხრიდან მიიღებს 200 ლარის დახმარებას ერთჯერადად და ეს დახმარება განხორციელდება კრიზისში ჩვენი ბავშვების სოციალური მხარდაჭერისა და სასწავლო წლის დაწყების პროცესში“,–განაცხადა გიორგი გახარიამ.

ყველა სტუდენტი, რომელიც არის სოციალურად დაუცველი და არის 150 000 ქულამდე კატეგორიაში, მიიღებს სახელმწიფოს მხრიდან 2020-2021 სასწავლო წლის ერთი სემესტრის სრულ ანაზღაურებას.

პრემიერის თქმით, ამავე კატეგორიის სოციალურად დაუცველ სტუდენტებს, რომლებსაც სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო სტუდენტის სტატუსი აქვთ შეჩერებული, ერთი წლის სწავლის საფასური დაუფინანსდებათ.

პრემიერის განცხადებით, ასეთი შეღავათებით საქართველოში ისარგებლებს 33 000-ზე მეტი სტუდენტი.

## ჯანდაცვის მინისტრი: შეიძლება რისკი შეექმნას სექტემბერში სწავლის დაწყებას



საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა კორონავირუსის ახალი შემთხვევების მატების ფონზე, საზოგადოებას მეტი მობილიზებისკენ მოუწოდა და სექტემბერში სწავლის დაწყების შესახებ განმარტება გააკეთა.

„ამ ეტაპისთვის სწავლის დაწყებასთან დაკავშირებით ცვლილებებს არ ვგეგმავთ. მაგრამ, მოქალაქეებს რომლებიც ელოდებიან, რომ მათი შვილები წავლენ სკოლაში და ეს ძალიან მტკივნეული და მნიშვნელოვანი საკითხია ჩვენი საზოგადოებისთვის, მნიშვნელოვანია გაითვალისწინონ, რომ ეს ყოველივე დამოკიდებული არის ჩვენს ქცევაზე. თუ ჩვენი ქცევა იქნება ისეთი, როგორიც არის დღეს და დღეს ჩვენ გვაქვს არა ნიღბის ტარება, არა სოციალური დისტანცირება და ასე შემდეგ, ეს რა თქმა უნდა, ჩვენ მიგვიყვანს იმ გადაწყვეტილებამდე, რომ შეიძლება რისკი შეექმნას სექტემბერში სწავლის დაწყებას. აქედან გამომდინარე, სრული მობილიზაცია ჩვენი მოქალაქეებისა არის ძალიან მნიშვნელოვანი, რომ ჩვენ ბავშვებს მიეცეთ შესაძლებლობა უსაფრთხო, კოვიდისგან თავისუფალ სკოლებში მიიღონ განათლება“,–განაცხადა ჯანდაცვის მინისტრმა.

***როგორც აქამდე იყო ცნობილი, ახალი სასწავლო წლის დაწყება სკოლებსა და უმაღლესებში 15 სექტემბერს იგეგმებოდა. შეიცვლება თუ არა საკლასო ოთახსა და აუდიტორიებში სწავლება დისტანციური განათლებით, ეს ეპიდსიტუაციაზე იქნება დამოკიდებული.***

## სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2020 წლის საშემოდგომო გაწვევა დაიწყო

მოქალაქეთა 2020 წლის საშემოდგომო გაწვევა 2020 წლის 3 აგვისტოს დაიწყო და 2020 წლის 26 დეკემბრამდე გაგრძელდება.

ამის შესახებ პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას ბრძანებაშია აღნიშნული.

ბრძანების თანახმად, 18-დან 27 წლამდე ასაკის გასაწვევი მოქალაქეები ამ დადგენილების ამოქმედების დღიდან ვალდებულნი არიან, გამოცხადდნენ მუნიციპალიტეტის მერიის, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში–ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში რეგისტრაციის/ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

„1. მოქალაქეთა 2020 წლის საშემოდგომო გაწვევა განხორციელდეს 2020 წლის 3 აგვისტოდან 2020 წლის 26 დეკემბრამდე.

2. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს 1500-ით.

3. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში–სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში გასაწვევ მოქალაქეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს 1432-ით.

4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში გასაწვევ მოქალაქეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს 1420-ით.

5. საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში გასაწვევ მოქალაქეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს 235-ით.

6. საქართველოს თავდაცვის ძალებში, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში გაწვეულიქნენ 18-დან 27 წლამდე ასაკის მოქალაქეები, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით არ აქვთ სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების ან სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლება“,–წერია პრემიერის ბრძანებაში.

## მთავრობა შემოდგომაზე 4 თვის კომუნალურ გადასახადებს დაფარავს

მთავრობა საქართველოს მოქალაქეებს კომუნალურ გადასახადებს ნოემბრის, დეკემბრის, იანვრისა და თებერვალის თვეშიც აუნაზღაურებს. შესაბამისი განცხადება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, გიორგი გახარიამ მთავრობის სხდომაზე გააკეთა.

„იმისთვის, რომ ჩვენი მოქალაქეების ოჯახების შემოსავლების კლება, ან სამუშაო ადგილების დაკარგვა დავაკომპენსიროთ, მთავრობამ მიიღო გადაწყეტილება კომუნალური გადასახადების მხარდაჭერის თვალსაზრისით, ეს პროგრამა გაგრძელდეს ზამთრის 4 თვის განმავლობაში. ეს იქნება ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი და თებერვალი. იგივე პრინციპით როგორც აქამდე იყო–200 კილოვატ საათი ელექტროენერგიის და 200 კუბური მეტრი გაზის მოხმარება იქნება მთავრობის მიერ კომპენსირებული. ჩვენს შედარებით შეძლებულ მოქალაქეებს ექნებათ პროგრამულად შესაძლებლობა ასეთ დახმარებაზე თქვან უარი“,- განაცხადა გახარიამ.

ამასთან, ყველა თვითდასაქმებული, ვინც მთავრობას 300-ლარიანი დახმარებისთვის მიმართა, მათ შორის ისინი, ვინც წარსადგენი დოკუმენტაციის შესახებ მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილა, 300-ლარიან დახმარებას მიიღებს.

როგორც პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ მთავრობის სხდომაზე განაცხადა, ყველა თვითდასაქმებულს, ვისაც პანდემიის გამო პრობლემები შეექმნა, დახმარება სექტემბრამდე ჩაერიცხება.

პრემიერის განმარტებით, აღნიშნულით თვითდასაქმებულების დახმარების პროგრამა სრულდება.

„სანამ დავიწყებდეთ მოქალაქეების კრიზისში დახმარების სოციალური პროგრამის მესამე ეტაპს, მინდა გარდამავალი კომპონენტი დღესვე დავხუროთ და ეს პროგრამა დავასრულოთ. ეს გახლავთ თვითდასაქმებულების მხარდაჭერა. ეს პროგრამა რამდენიმე თვის წინ დავიწყეთ და მთავრობას 250 000-მა საქართველოს მოქალაქემ მომართა თხოვნით, ერთჯერად 300-ლარიან დახმარებასთან დაკავშირებით. ეს დახმარება 170 000-მა მოქალაქემ მიიღო, ვისაც სრულად ჰქონდა დოკუმენტაცია შევსებული, თუმცა სანამ შემდეგ ეტაპზე გადავალთ, გადავწყვიტეთ ყველა იმ დარჩენილ 80 000 მოქალაქეს, რომელმაც სრულად ვერ დააკმაყოფილა მოთხოვნები დოკუმენტების შეგროვების თვალსაზრისით, თხოვნა დაუკმაყოფილდეს და დაერიცხოს ეს ერთჯერადი 300 ლარი. ამით ეს პროგრამა დასრულდება“,–განაცხადა გახარიამ.

# „მათ რამდენიმე გაზაფხული იკმარეს მხოლოდ, დანარჩენი კი სამშობლოსთვის შეუწირიათ!..“

აგვისტოს გმირები




გეგმავდით...

ოცნებობდით...

მსჯელობდით...

ფიქრობდით...

იბრძოდით ჩვენი ქვეყნის ერთიანობისთვის.

ცდილობდით, გეცხოვრათ და არა მხოლოდ გეცოცხლათ...

რომ არა ეს უგუნური და უთანასწორო ომი.

ომი კი, სადაც არ უნდა, და როგორიც არ უნდა იყოს, ომია!

2008 წლის 8 აგვისტოდან 2020 წლის 8 აგვისტომდე 12 წელი გავიდა...

ეს არის დღე, როცა ჩვენ, ყველანი ქედს ვიხრით თქვენს წინაშე...

ეს ომი ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში ყველაზე ტრაგიკულია. მან შეიწირა ლომივით ბიჭები, ვაჟკაცები, დაიკარგა ტერიტორიები. უსაზღვრო უბედურება მოუტანა ქვეყანას, რომელიც ჯერაც არ დამთავრებულა...

ისტორია განსჯის დამნაშავეებს. თქვენ კი ბიჭებო, დაბრუნდით ნამდვილ გმირებად, უყოყმანოდ შესწირეთ თავი სამშობლოს.

თქვენ იბრძოდით ერთიანობისთვის, ლამაზი მომავლისთვის. საამაყო ხობელები გოგა ბერაია, დათა ხურცილავა, ლევან ჭოჭუა, ლევან ტურავა, მიხეილ იოსავა, გოგა ჭითანავა, ზვიად დათუაშვილი, გოგიტა ქარჩავა, რამაზ კიტია.

პოეტის სიტყვები მახსენდება „ნეტავ ღირსეულ მტერს მოვეკალი არ გამყვებოდა დარდი ამხელა“.

სულში ბობოქრობს ფიქრი იმაზე, რომ დედამიწაა დღეს თქვენი გული...

სიკვდილს ნუგეში არ უყვარს, არ ცნობს.

მარკუს ავრელიუსს უთქვამს: „სიკვდილის კი არ უნდა გეშინოდეს, არამედ იმის, რომ ვერასოდეს დაიწყებ სიცოცხლეს“.

თქვენი სიცოცხლე შეწყდა...

ბევრი სურვილი და ფიქრი დაგრჩათ შეუსრულებელი.

დარჩა სამუდამოდ „ნატვრის ხეებზე“ თქვენი ოცნებები.

საბედისწირო ღამე...

2008 წლის 8 აგვისტო...

სიჩუმე, ავისმეტყველი სიჩუმე...

ტკივილი, ცრემლი, სიამაყე.

2020 წლის 8 აგვისტო,

ზაფხულის ღამე.

თქვენს საფლავებზე აღმართული ობელისკები, სიმბოლური დროშები, თავისუფლების ბილიკზე მიმავალი ბიჭები, კაი ყმები, ერის შვილები, კავკასიის ქედმოუხრელი გმირები, სამშობლოს სიყვარულით გულანთებული მამულიშვილები, დარჩენილი თქვენი სახეები პატარა კვარცხლბეგზე შემდგარი ქვაში ნაკვეთი თქვენი სახელები. ამაყად მდგარი დედები. თქვენი სახელობის ქუჩები, მოედნები, ჯილდოები თაობიდან თაობისთვის გადასაცემი.

მიუხედავად ასეთი ტრაგედიისა, თქვენს მიერ დაღვრილი სისხლი უკვალოდ არ ჩაივლის ბიჭებო, „კიდევაც დაიზრდებიან, ალგეთს ლეკვები...“

დრო, დრო დაჭედილი ბედაურივით მიქრის...

სიკვდილი არა არის რა,

თქვენ არ მომკვდარხართ,

მხოლოდ გაღმა მხარეს გახვედით...

თქვენ ისევ ის ხართ, თქვენ ისევ თქვენ ხართ, რაც იყავით ისევ ის საუკუნოდ...

აბა, რა ვთქვა, რა მაქვს სათქმელი...

„გმირებად არ იბადებიან, გმირები ხდებიან“ მივუყვები გზას, რადგან „თქვენს საფლავებთან მისვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა.“

***ნაირა ბერაია***

სპორტი

## გმირთა სახელების უკვდავსაყოფად



8 აგვისტოს, ხობის მუნიციპალიტეტის ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, გოგა ჭითანავას სახელობის მინი-სტადიონზე, აგვისტოს ომის დროს დაღუპული რეზერვისტის გოგა ჭითანავასა და ჯარისკაცის ლევან ტურავას სახელობის საფეხბურთო ტურნირის ფინალური მატჩები გაიმართა.

ტურნირის გამარჯვებული ქ. ხობის გუნდი გახდა, რომელმაც ფინალურ შეხვედრაში პირველი მაისის გუნდი ანგარიშით–4:2 დაამარცხა, ხოლო მესამე ადგილზე ხეთის გუნდი გავიდა.



ფინალურ მატჩს, გოგა ჭითანავას და ლევან ტურავას ოჯახის წევრებთან ერთად, საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი წევრი დაჩი ბერაია, ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, მერის მოადგილე მახარე ჩოკორაია და საკრებულოს კულტურის, განათლებისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დოდო გაბუნია ესწრებოდნენ.

ტურნირის გამარჯვებულ და საპრიზო ადგილებზე გასულ გუნდებს, ასევე სხვადასხვა ინდივიდუალურ ნომინაციებში საუკეთესოებად დასახელებულებ ფეხბურთელებს თასები და სიგელები გადაეცათ.

სპორტული ღონისძიება, ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერითა და ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ ორგანიზებით განხორციელდა.

# „ცოტნეობა"–2020

# ხობის მონასტერი და ცოტნე აღმსარებელ-დადიანი

ხობის მონასტერი უნებლიედ გვახსენებს: ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კვართს, გუბაზ მეფეს, დავით აღმაშენებელს, თამარ მეფესა და ცოტნე დადიანს... გვეამაყება, რომ ხობელები ხობის თეთროსანი ღვთისმშობლის ხატის ყმები ვიყავით... ბოროტი ძალა შეეცადა ჩაეკლა ეს სიამაყე, მაგრამ ვერ შეძლო, რადგან ჩვენში მძლავრია სურვილი იმისა, რომ კვლავ ვასრულებდეთ, იმ საპატიო მისიას, რომელსაც ღვთისმშობლის მსახურება ჰქვია. ხობელები ნიჭიერნი, მუყაითნი და სტუმართმოყვარენი არიან. აქაურებს ჩვენი ქვეყნის ყველა ჭირ-ვარამი გაუზიარებიათ, ისინი მარტო წარსულით არ ცხოვრობენ, სჯერათ ღვთის წყალობისა, მომავლისა, საქართველოს გაბრწყინებისა.

სოფელ ნოჯიხევის ტერიტორიაზე მდებარეობს სახელგანთქმული ხობის მონასტერი. ხობი არქიტექტურული კომპლექსია, იგი შედგება ტაძრის, სამრეკლოს, სასახლის, გალავნისა და სხვა ნაგებობების ნაშთებისგან. ტაძარი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობისაა. შემორჩენილია მე-13 საუკუნეების ფრესკები, შემკულია შესანიშნავი ჩუქურთმებით. სატაძრო დღესასწაული „მარაშინა" მარიამობა–28 აგვისტო.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ხობის მონასტერში დასვენებული იყო უდიდესი ქრისტიანული სიწმინდეები:

***ღვთისმშობლის კვართი, წმინდა გიორგის ბარძაყის ნაწილი, იოანე ნათლისმცემლის ნაწილი, მაცხოვრის წვერის ღერები, ღრუბელი, რომლითაც ჯვარზე გაკრულ მაცხოვრს ძმარი მიაწოდეს, წმინდა მარინეს მკლავი, წმინდა კვირიკეს ხელის მტევანი, წმინდა ივლიტეს მკლავი, წმინდა თევდორეს ნაწილი,***



***დავით აღმაშენებლის საწინამძღვრო ჯვარი, თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარი, თამარ მეფის დედის ბურდუხან დედოფლისეული მრავალნაწილიანი ხატი, რომლის შუაში ჩასმული იყო ძელიცხოვლის ჯვარი, ხოფის თეთროსანი ღვთისმშობლის ხატი და სხვა.***

1923 წლიდან, ანტირელიგიური კამპანიის დროს ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ეს სიწმინდეები სხვადასხვა მუზეუმში გადაიტანა. თქმულებების მიხედვით ხობის მონასტერთან მოუკლავთ გუბაზ მეფე და მისი სულის მოსახსენებლად აუგიათ ტაძარი. გადმოცემები ხობის ტაძრის აგებას უკავშირებს ჰერაკლე კეისრის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფისა და ცოტნე დადიანის სახელს. აქ დავით აღმაშენებელს საზაფხულო რეზიდენცია ჰქონია.

ხობის მონასტერი შუა საუკუნეებში აფხაზეთის კათალიკოსების რეზიდენციად და საძვალედაც ითვლებოდა. მონასტერს ეკუთვნოდა მამულები ბიაში, ნოჯიხევში, ხობში, ხორგაში, სახარბედიოში, ხოლო აქ მოსახლე 410 კომლი აზნაური და გლეხი ხობის თეთროსანი ღვთისმშობლის ხატის ყმებად ითვლებოდა.

ხობის მონასტერი, ძველი დადიანების საოჯახო საძვალეა და დიდი ალბათობით ცოტნე დადიანიც აქ უნდა იყოს დაკრძალული, ამ მოსაზრებას ხალხურ გადმოცემებთან ერთად ამლიერებს აქ ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოები.

12 აგვისტოს ხობის ტაძარში და ქალაქ ხობში აღინიშნება სახალხო გმირისა და წმინდანის ცოტნე აღმსარებლის-დადიანის ხსენების დღესასწაული.

1910 წელს ხობის მონასტერს სწვევია ეპისკოპოსი ლეონიდე (ოქროპირიძე), (გაზ. შინაური საქმეები, 32) მას თავის ქადაგებაში უთქვამს: „ხოპის მონასტერის ტაძარი ერთი შესანიშნავი ტაძართაგანია, როგორც ხუროთმოძღვრებით, ისე სიწმიდით. ამ ტაძარში ასვენია კვართი ყოვლად წმიდა ღვთისმშობლისა და მრავალი ნაწილები. გარდა ამ სიწმიდისა აქვე ასვენია რამდენიმე ძვირფასი ხატი და ჯვარი და მათ შორის შესანიშნავი ჯვარი საქართველოს მნათობთა მეფეთა-თამარისა და დავით აღმაშენებელისა".

მღვდელ-მონაზონი კალისტრატე (ჩიჩუა) საინტერესოდ ასახავს ეროვნული გმირის ცოტნე დადიანის სახეს. ძალიან საინტერესოა მისი ვრცელი სტატია, დაბეჭდილი 1891 წლის გაზეთ ივერიაში (248), მისი სათაურია-„ცოტნე დადიანი და მისი ვინაობა", აქ აღწერილია საქართველოს მძიმე პოლიტიკური ვითარება: „ცოტნე დადიანის და მისის დედ-მამის კარგად შენახული ფრიად შესანიშნავი სურათი ჩვენ ვიპოვნეთ ხობის მონასტრის სამხრეთ კედელზე, სამხრეთში.

ცოტნე დადიანი დიდად ცნობილია ჩვენს ისტორიაში. მის სახელს მემატიანენი ყოველგან დიდის პატივით იხსენებენ: „დადიანი ცოტნე, კაცი წარჩინებული და სათნოებიანი" (ქ.ცხ.I, 357); „პატივოსანი და სათნოებიანი და ბრძოლათა შინა სახელოვანი"(ქ.ცხ.I, 364,371); „სათნოება-მაღალი და საკვირველი და ყოვლისა ქების ღირსი" (ქ.ცხ. 375-376) ...ცოტნე დადიანი შეყრილის ჯარით მივიდა დაპირებულს ადგილს ჯვარს რკინის(სამცხეშია) და მხოლოდ აქ გაიგო, რა უბედურება შემთხვეოდა ქართველთ თავ-კაცებს. მეტად შესწუხდა და „თვისად სიკვდილად შეჰრაცხა საქმე იგი". თავისი ლაშქარი დაითხოვა და უკანვე გაგზავნა, ყველა თავ-თავის სახლში, ხოლო თვითონ მარტო ორი კაცით გაეშურა ანისში, სადაც იტანჯებოდნენ შეთქმულები. ცოტნემ, „დამდებმა სულისა თვისისა მეგობართა თვისათვის", გაიარა სამცხე, ჯავახეთი, მივიდა ანისს და ნახა, რომ მთავარნი ხელ-შეკრულ-ტიტველნი ისხდნენ მოედანზე... იხილა თუ არა ესრეთი დამდაბლება თვისთა ამხანაგთა, სიკვდილამდე მიწევნულთა, ცოტნე სწრაფად მიუახლოვდა ტანჯულთ, გადმოხტა ცხენიდან, გაიხადა ტანთ და მიჰყარ-მოჰყარა თავისი მდიდრული ტანთ-საცმელი. ესრედ განშიშვლებულმა, მხრები შეიკრა და მდუმარე დაჯდა დანარჩენ ამხანაგებთან მწუხარე სახითა. ეს ამბავი მონგოლებს დიდად გაუკვირდათ და მაშინვე აცნობეს თვისს მეფეს, „ცოტნე დადიანი მოვიდა ორითა კაცითა და განიძარცვა სამოსელი და შეკრული დაჯდა ქართველთა თანა"'.

მონგოლების დიდკაცობა ცოტნეს კარგად იცნობდა და ამის გამო მეტად გაჰკვირდნენ ყველანი. მაშინვე მოუწოდეს ნოინთან და ჰკითხეს მიზეზი ამ უცხო საქციელისა. ცოტნემ უპასუხა: „ჩვენ ყველანი აქა მჯდომარენი იმისათვის შევიკრიბენით, რომ გაგიჩინოთ ხარჯი და თქვენი ბრძანება შევასრულოთ, მაგრამ თქვენ ბოროტობად ჩამოგვართვით; მეც ამისთვის მოველ, რომ გამოიკითხოთ ეს საქმე და, თუ სიკვდილის ღირსი რამე უქმნიათ, მეც ამათთან დავისაჯო სიკვდილით, რადგან მეც მათ შორის ვიყავი, ხოლო თუ უბრალონი აღმოჩნდნენ, გთხოვთ, მეც უბრალოდ მიცნათ და გავმართლდე თქვენს წინაშე, რადგან, ჩემდა დაუკითხავად, ამათ არა უქნიათ რაო".

ეს რომ ცოტნესგან გაიგონეს ნოინებმა, დიდად გაუკვირდათ ესრეთი მისი მაღალი ზნეობა და სთქვეს: „რადგან ნათესავნი ქართველთანი ესეოდენ კეთილნი არიან და არა ეცრუებიან ერთი-ერთსა, რომე აფხაზეთით მოვიდა კაცი ესე დიდებული, დასდვას სული თვისი მოყვასთა თვისთათვის და განწირა სული თვისი სიკუდიდ, არა არს სიცრუე მათ შორის და ამის ძალით უბრალოდ ვპოვებთ: ამისთვის განვუტეოთ ყოველნი და ნუღარა ვსჯით".

მაშინ უთხრეს ცოტნეს, ჩვენ გვეგონაო, აჯანყებას გვიპირობდითო და ახლა რაკი ვნახეთ თქვენი ნამუსიანობა, შენთვის მოგვინიჭებია ეს ქართველები და შენ გენდობითო. ტყვენი გაანთავისუფლეს. თავი ქართველნი გადარჩნენ სიკვდილს და დამდაბლებას.

ზემოთხსენებულის მონასტრის კედელზე, სამხრეთ-დასავლეთის კუთხესთან, დახატულნი არიან სამნი: ერთი შუახნის კაცი, მოკლე წვერიანი, ჭრელს და მეტად უცხო ტანისამოსში, თავზე ჰხურავს მაღალი ქუდი, ფერადებით და თვალ-მარგალიტებით დამშვენებული. იმის მარჯვნივ დახატულია ლამაზი, ახალგაზრდა დედაკაცი, საუცხოვო ტანისამოსით, ხოლო ამ ორთაშუა ჰხატია ყმაწვილი 8-10 წლისა, მდიდრულადვე ჩაცმული, პირველს აწერია ასო მთავრულით: „ერისთავთ ერისთავი შერგილ დადიანი", მეორეს: „დედოფალთ დედოფალი ნათელა" და მესამეს: „ძე ამათი ცოტნე". ზემოხსენებული სურათნი მეტად საყურადღებო და ძვირფასი უნდა იყოს ყველასათვის, ვინც აფასებს წარსულს და გონივრულის თვალით უყურებს აწმყოს."



ძალიან საინტერესო სტატიაა გამოქვეყნებული 1912 წლის გაზეთ „შინაურ საქმეებში" ( 24), ეს არის ეპისკოპოს ლეონიდე (ოქროპირიძე) ქადაგება ხობის მონასტერში:

„...ჩვენი უკვდავი მგოსანი აკაკი დიდებულ ხოპის მონასტერსაც შეხებია თავის ცნობილ მოთხრობა „ნათელაში" (ეს ნაწარმოები აკაკის დაუწერია 1897 წელს და ეძღვნება ხობის მონასტერსა და ცოტნე დადიანს. ავტორის შენიშვნა.) და სწორედ ისე მომჯადოებლად გვისურათ-ხატებს მონასტრის მდებარეობის სიკეკლუცეს, როგორც მის ზეგარდამო მადლით ცხებულ კალამს შეჰფერის და მოეთხოვება. გულწრფელად ვურჩევთ ყველა მკითხველს „ნათელადან" ამ აღწერილობას და დასტკბეს პოეტური უებრო სურათით. ჩვენის მხრით, აკაკის ქმნილების შემდეგ, ხოპის მდებარეობის დახასიათება, კადნიერება იქნებოდა, ამიტომ ამაზე კრინტსაც არ ვძრავთ".

ცოტნე დადიანის გმირობაზეც არ არის ადვილი საუბარი, ის იმდენად დიდია, რომ „ჟამთააღმწერელიც" კი მოკლედ და ლაკონიურად გადმოგვცემს ცოტნეს სიდიადეს: „უფროს ამისა სიყვარული არა არს, რათა დადვას კაცმან სული თვისი მოყუასისა თუისისათვის, რომელ ყო პატიოსანმანცა ამან კაცმან ცოტნე სათნოება მაღალი და განსათქმელი, საქმე საკვირველი და ყოვლისა ქებისა ღირსი".

**წმ. ცოტნე აღმსარებლის მადლი ფარავდეს ხობსა და სრულიად საქართველოს!**

**ბოგიტა ჩიტაია**

# ჩვენს მუნიციპალიტეტში



წყალმომარაგების კომპანია, საქართველოს რეგიონებში მოსახლეობის სტაბილური წყალმომარაგებისა და ახალი ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის პროექტების განხორციელებას განაგრძობს.

ამჯერად, კომპანიამ ხობის მუნიციპალიტეტის, სოფელი ძველი ხიბულას წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის პროექტზე ტენდერი გამოაცხადა. წინადადებების მიღება მიმდინარე წლის 11 აგვისტომდე გაგრძელდება. გამარჯვებულმა კომპანიამ სამუშაოები 18 თვეში უნდა დაასრულოს.

დღეის მდგომარეობით, სოფელ ძველ ხიბულაში წყალმომარაგების ცენტრალიზებული სისტემა არ არსებობს, მოსახლეობა ინდივიდუალურად მოწყობილი ჭებიდან მარაგდება.

სამუშაოების ფარგლებში, მოეწყობა ახალი სათავე ნაგებობა, რეზერვუარები და გამანაწილებელი ქსელი.

პროექტის განხორციელება საბოლოოდ აღმოფხვრის სოფლის წყალმომარაგების პრობლემას და ადგილობრივებს სასმელი წყლის 24-საათიანი მიწოდებით უზრუნველყოფს.

სამუშაოებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 10 მილიონ ლარამდეა გამოყოფილი.

---



სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ლუდუკ (ნუკრი) ხასია, ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია და საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა კომპანია „გლობალ რისაიქლინგის“ დირექტორს ჯეიმს ჰონგს შეხვდნენ. საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა, კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა.

კომპანია „გლობალ რისაიქლინგი“ ხობის მუნიციპალიტეტში პლასტმასის გადამამუშავებელ საწარმოს განავითარებს. პროექტის ფარგლებში 50 მლნ ლარის ჩინური ინვესტიცია განხორციელდება და 400 ადგილობრივი მოსახლე დასაქმდება. პირველ ეტაპზე, ინვესტორი 50 მლნ ლარის ინვესტიციას განახორციელებს, ხოლო მომავალში ხობში დამატებითი ინვესტიციის განხორციელებას გეგმავს.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ყურადღება გაამახვილეს პროექტის უსაფრთხოებაზე, ადგილობრივების დასაქმებასა თუ, ანაზღაურებაზე და გენდერულ თანასწორობაზე.

შეხვედრას მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ვარაზ გაბედავა და მერის მოადგილე მახარე ჩოკორაია ესწრებოდნენ.

---



ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულში საჯარო სკოლის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

პროექტის მიხედვით განხორციელდება სახურავის სრული რეაბილიტაცია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის აშენდება პანდუსი და მოეწყობა სველი წერტილები.

სკოლაში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებს ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია გაეცნო.

პროექტის ღირებულება 105 000 ლარამდეა.

პარალელურად, ქვემო ქვალონში შენდება ერთი სკოლა, ხოლო ორ სკოლაში მიმდინარეობს სველი წერტილების მოწყობა.

წელს ასევე დაგეგმილია ხობის 7 სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება.

---



შუა ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში 60 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის მოწყობა მიმდინარეობს.

მიმდინარე სამუშაოები სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ ლუდუკი (ნუკრი) ხასიამ, მერმა გოჩა ქაჯაიამ და საკრებულოს თავმჯდომარემ ედიშერ ჯობავამ დაათვალიერეს.

ინფრასტრუქტურული პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება და მისი სახელშეკრულებო ღირებულება 399 399 ლარს შეადგენს

მშენებლობა სექტემბერში დასრულდება და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოწყობილ გარემოში წარიმართება.

---



შავღელეს ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებლებმა ყურბან ბაირამის დღესასწაული იზეიმეს. ყურბან-ბაირამის ლოცვა შავღელეს მეჩეთის წინამძღვარმა ზურაბ ტარიელაძემ აღავლინა.

სოფელ შავღელეში მცხოვრებ მუსლიმებს ყურბან ბაირამის დღესასწაული ხობის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა ქაჯაიამ მიულოცა.

ყურბან ბაირამი ოთხი დღე გრძელდება. ამ პერიოდში შეძლებული მორწმუნის ერთ-ერთი უმთავრესი ვალდებულება, ღვთის სიყვარულისა და მორჩილების გამოსახატად, მსხვერპლის შეწირვაა.

---



ხეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ წინაგოლაში და კორცხოს უბანში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციის პირველი ეტაპი დასრულდა.

რეაბილიტირებული გზები ხობის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა ქაჯაიამ დაათვალიერა.

პროექტების ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება 2 მილიონ 385 ათას ლარს შეადგენს.

ინფრასტრუქტურული პროექტები რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება.

---



მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“ პროექტს „საქართველოს მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების დანერგვა და განვითარება“ ახორციელებს.

პროექტის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში ელექტრონული სერვისების დანერგვასთან დაკავშირებით შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, მერის მოადგილეები, მერიის და საკრებულოს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და ადგილობრივი თვითმმართველობის იურიდიული პირების დირექტორები ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ ანალიტიკოსმა თეა სუთიაშვილმა პროექტის ფარგლებში განხორციელებულ და განსახორციელებელ ღონისძიებებზე ისაუბრა.

თვითმმართველობის ორგანოებისა და სააგენტოს ურთიერთთანამშრომლობის შედეგად დასრულდა მოკვლევის ეტაპი. მოძიებული ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის საფუძველზე შემუშავდა ელექტრონული სისტემის მოდულები, რომლებიც უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტში საქმისწარმოების პროცესების ოპტიმიზაციას.

23 ივლისიდან დაიწყო პროგრამის დანერგვის ეტაპი, რომელიც მოიცავს ელექტრონული სისტემის თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას.

აღნიშნული პროგრამა მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს მუნიციპალიტეტისგან ერთი ფანჯრის პრინციპით, მოკლე დროში, ხარისხიანი მომსახურების მიღების შესაძლებლობას მისცემს.

# სოფელი

## „სოფლის მოსახლეობაზე ზრუნვა ჩემი უპირველესი საქმიანობაა“

### ვახტანგი გოგოლაძე– მერის წარმომადგენელი საგვიჩიოს ადმინისტრაციულ ერთეულში



***გაგვეცანით და დაახასიათეთ თქვენი თავი. თქვენი ცხოვრების რეჟიმზეც გვითხარით ცოტა რამ.***

–დავიბადე 1970 წლის 11 სექტემბერს. 1987 წელს დავამთავრე ქ. სენაკის მე-5 საშუალო სკოლა, ხოლო 1992 წელს ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით. 1992-2007 წლებში ვმუშაობდი საგვიჩიოს საბაზო სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად. 2008-2015 წლებში ადგილობრივ თვითმმართველობაში სპეციალისტად. 2016 წელს დავინიშნე მერის წარმომადგენლად საგვიჩიოს ადმინისტრაციულ ერთეულში.

არამარტო სამსახურიდან, არამედ ზოგადად ცხოვრების პრინციპებიდან გამომდინარე, ვცდილობ, რაც შეიძლება ახლო ურთიერთობა მქონდეს მოსახლეობასთან, რათა შევძლო მათი ლხინისა და ჭირის გაზიარება და შესაძლებლობების ფარგლებში დახმარება.

ჩემი ცხოვრების რეჟიმი თითქმის ყოველთვის იცვლება. ის დამოკიდებულია ახალახალ გამოწვევებზე, გასაკეთებელ საქმეებზე, რაც სოფლის საკეთილდღეოდ კეთდება. ვცდილობ, ვიდგე იქ, სადაც ამას აუცილებლობა მოითხოვს.



***რას იტყვით საგვიჩიოს შესახებ? მის მცხოვრებლებზე?***

–საგვიჩიო მდებარეობს მდინარე რიონის სანაპიროზე. სოფელი დაარსებულია 200 წლის წინ, როდესაც ამ ტერიტორიაზე დასახლდნენ გვიჩიანების გვარის ძმები. ამჟამად სოფლის ტერიტორია შეადგენს 1900 ჰექტარს. სოფელში ცხოვრობს 251 კომლი. ორი დევნილი ოჯახი–სულ 670 მცხოვრებით, მათგან ნაწილი გასულია სოფლიდან სხვადასხვა რეგიონში სამუშაოდ.

საგვიჩიოში ცხოვრობს სტუმართმოყვარე, მშრომელი ხალხი, რომლებიც მუხლჩაუხრელი შრომით ქმნიან დოვლათს. მოსახლეობა გამოირჩევა ერთმანეთის მიმართ თანადგომითა და ურთიერთპატივისცემით, რაც ხელს უწყობს სოფელში ჯანსაღი გარემოს დამკვიდრებას. ყველაფერმა ამან მოსახლეობას შედარებით იოლად გადაატანინა წლების განმავლობაში არსებული ეკონომიკური კრიზისები.

მოსახლეობის შემოსავლის ძირითად წყაროს მესაქონლეობა და მესიმინდეობა წარმოადგენს, ასევე მცირე დოზით განვითარებულია მებოსტნეობა, მეთხილეობა და მეხილეობა.

მიმდინარე წელს სოფლის ერთმა მცხოვრებმა მოიპოვა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ კენკროვანი კულტურების გაშენებისთვის გამოყოფილი გრანტი და 3500 კვ.მ. ფართობზე გააშენა მოცვის კულტურა. იმედია, მისი წარმატება გახდება მაგალითი სხვებისთვის, რათა უფრო აქტიურად ჩაერთონ სხვადასხვა პროექტებში.

***ბატონო, ვახტანგ! გვესაუბრეთ სოფელში არსებულ სამსახურებზე. რა გაკეთდა და რა სიახლეები ინერგება, რა იქნება ხვალ?***

–სოფელში ფუნქციონირებს საბაზო სკოლა (დირექტორი გულიკო ტაბატაძე), საბავშვო ბაღი (მთავარი სპეციალისტი ნანი გულიაშვილი) და ბიბლიოთეკა (ნანა გამყრელიძე). სოფელს ემსახურება გამოცდილი მედდა მარინე კვირტია. აგრეთვე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის დახმარებით მოხერხდა, რომ სოფლის მოსახლეობას კვირაში ერთი დღე ემსახურებოდეს უბნის ექიმი ელზა ტყემალაძე, რითაც მოსახლეობა კმაყოფილია.

სოფლის მკვიდრის მარინა გვიჩიას თაოსნობითა და ფინანსური მხარდაჭერით. ისტორიულად არსებული ძველი სალოცავის ადგილზე აშენდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის ეკლესია, სადაც სადღესასწაულო დღეებში აღევლინება წირვა-ლოცვა.

რამდენიმე წელია მუნიციპალიტეტის ფინანსური მხარდაჭერით სოფელში ტარდება 2004 წელს სამაჩაბლოში გმირულად დაღუპული კობა შუბითიძის სახელობის ტურნირი ფეხბურთში, სადაც მუნიციპალიტეტის სოფლების გუნდებთან ერთად მონაწილეობას იღებს თავდაცვის სამინისტროს რამდენიმე გუნდი. აღნიშნულ ღონისძიებას ყოველწლიურად ესწრება მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა, თავდაცვის სამინისტროს ვეტერანთა დეპარტამენტის წარმომადგენლები. ასევე მაღალი დონის სტუმრები საქართველოს პარლამენტიდან. კობა შუბითიძის სახელი მინიჭებული აქვს სოფელში ერთ-ერთ ქუჩას.

ჩვენი სოფლის მკვიდრი იყო სპორტის ოსტატი, დამსახურებული მწვრთნელი რომან გულიაშვილი, რომელიც ჩვენს მუნიციპალიტეტში ბერძნულ-რომაული ჭიდაობის სათავეებთან იდგა. დღეს ამ საქმეს წარმატებით უძღვებიან მისი კოლეგები და მოსწავლეები.



2017-18 წლებში, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისა და პარლამენტის მაჟორიტარი წევრის ირაკლი (დაჩი) ბერაიას მხარდაჭერით სოფელში ორ ეტაპად მოგვარდა ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, კერძოდ, სოფლის ცენტრიდან ცენტრალურ მაგისტრალამდე დაიგო 3,8 კმ სიგრძის ცემენტო-ბეტონის გზა. ასევე მათი მხარდაჭერით ეტაპობრივად მოხდება სხვა გზების აღდგენა.

სოფელი სარგებლობს 24 საათიანი ელექტრომომსახურებით და წყალმომარაგებით. ორივე სექტორში ჩატარებულია ინდივიდუალური გამრიცხველიანება. 2019 წელს გაზიფიცირებასთან დაკავშირებით ჩატარდა წინასაპროექტო კვლევა და იმედია, უახლეს დროში დაიწყება საპროექტო-სამშენებლო სამუშაოები.

2019 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული თანხით (16 ათასი ლარი) სოფლის ორ უბანში განხორციელდა მოსახლეობის მიერ პრიორიტეტად მიჩნეული ხიდ-ბოგირებისა და ცხაურების მშენებლობა.

მიმდინარე წელს ასევე მოსახლეობის გადაწყვეტილებით აღნიშნული თანხა მიმართულია საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის. ამჟამად მიმდინარეობს (განათლების სამინისტროდან გამოყოფილი თანხით) მუნიციპალიტეტის მიერ საბაზო სკოლაში სველი წერტილების მოწყობა. მომდევნო წელს დაიწყება მდინარე რიონზე ნაპირსამაგრი სამუშაოები, რითაც გადაიჭრება კიდევ ერთი პრობლემა.

***პანდემიის დღეები როგორ გამოიარა სოფელმა. როგორ გაართვით თავი აღნიშნულ გამოწვევას?***

–მიმდინარე წელს სოფლის მოსახლეობის (ისევე როგორც ქვეყნისა და მსოფლიოს მასშტაბით) ცხოვრებაში დიდი კორექტივები შეიტანა გავრცელებულმა კორონავირუსმა. ქვეყნის ხელმძღვანელობის, მუნიციპალიტეტისა და კეთილი ადამიანების თანადგომით, ასევე მოსახლეობის მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით, შესაძლებელი გახდა აღნიშნული კრიზისის შედარებით იოლად გადატანა. დახმარება გაეწია სოციალურად დაუცველ მოსახლეობას. კერძოდ, მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი სასურსათო პაკეტი გადაეცა 13 ოჯახს, ადგილობრივი მეწარმის ტარიელ გულორდავას მიერ დახმარება გაეწია 20 ოჯახს.

ბიზნესმენ გოდერძი ბუკიას მიერ ხობში დაფინანსებული კომპანიებისგან შეძენილი პროდუქტებით ჩვენი სოფლის 6 ოჯახს დახმარება გაეწია.

თამაზ ბასილაიამ დახმარება გაუწია ერთ მარტოხელა მოხუცს.

კომენდანტის საათის პერიოდში მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატ იგორი გოგოლაძესთან ერთად, ვეხმარებოდით მოსახლეობას, როგორც სასურსათო პროდუქტების, ასევე მედიკამენტების შეძენაში.

ამ პერიოდშიც და სხვა დროსაც, მუნიციპალიტეტის მიერ მოხდა რამდენიმე პირის საოპერაციო ხარჯების თანადაფინანსება და ასევე რამდენიმე პირს გაეწია ერთჯერადი ფინანსური დახმარება.

არ შეიძლება არ აღვნიშნო სახელმწიფოს მიერ ფაროსანას წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებები, რამაც მავნებლის რაოდენობა მნიშვნელოვნად შეამცირა და მოსახლეობას მოსავალი გადაურჩინა.

***ყოველი დღე გვაახლოებს არჩევნებს, რას გვეტყვით, როგორია მოლოდინი?***

–რაც შეეხება არჩევნებს, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩატარდება მშვიდ, დემოკრატიულ გარემოში. თითოეულ მოქალაქეს საშუალება ექნება დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია. ასევე დარწმუნებული ვარ, რომ მოსახლეობა გააკეთებს სწორ არჩევანს. ხმას მისცემს სოფლისა და ქვეყნის შემდგომ განვითარებას და წინსვლას.

ბოლოს, თქვენი გაზეთის თითოეულ მკითხველს და სრულიად საქართველოს მოსახლეობას მინდა ვუსურვო ჯანმრთელობა, ბედნიერება და ეკონომიკური წინსვლა. მალე მიგველოცოს ერთმანეთისთვის ჩვენი ქვეყნის გამთლიანება, ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანება.

***რა არის თქვენთვის აუცილებელი და გადაუდებელი საქმე?***

–სოფლის მოსახლეობაზე ზრუნვა ჩემი აუცილებელი და გადაუდებელი საქმიანობაა. მინდა ვიყო კარგი ხელმძღვანელი, მედიატორი ხალხსა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიას შორის.

ვიშრომო ხალხის და სოფლის მოსახლეობის საკეთილდღეოდ.

**ესაუბრა**
**ნანი კილასონია.**

# ხეთის თეატრონის ახალი სიცოცხლე



ამ დღეებში კვლავ ახმაურდა ხეთის ამფითეატრონი...

მთავრობის გადაწყვეტილებით კოვიდ–19 ვირუსით გამოწვეული შეზღუდვების გამო აიკრძალა დახურულ სივრცეში კულტურული ღონისძიებების ჩატარება.

ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა საკუთარი ძალებით დაესუფთავებინა ამფითეატრონი, რათა ღია ცის ქვეშ გაემართა კულტურული ღონისძიებები.

ცენტრის თანამშრომლები უკვე მერამდენედ ესტუმრნენ ხეთას, დაასუფთავეს ამფითერატრონის სცენა, ე.წ. „სავარძლები“ გაანთავისუფლეს ხავსისგან.

ხეთის მხარეთმცოდნეობისა და საბრძოლო დიდების მუზეუმის დირექტორმა გია გაბრავამ და სპეციალისტმა ნინო ნასარაიამ მათთან ერთად ძალისხმევა არ დაიშურეს, რათა ამფითეართონი მზად იყოს კულტურული ღონისძიებების ჩასატარებლად.



დასუფთავების სამუშაოები ამ დღეებში დამთავრდება.

ექიმი გვირჩევს

# C ჰეპატიტი

C ჰეპატიტი არის ვირუსით გამოწვეული ღვიძლის ანთებადი დაავადება და მიმდინარეობს მწვავე ან ქრონიკული ჰეპატიტის სახით. დაავადება შესაძლოა იყოს მსუბუქად მიმდინარე და მხოლოდ რამდენიმე კვირა გაგრძელდეს, ან მძიმე და ქრონიკული, რომელიც ადამიანს მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვება.

C ჰეპატიტის გავრცელება ხდება სისხლის მეშვეობით. ინფექციის გავრცელების ძირითად გზებს წარმოადგენს ინფექციის უსაფრთხოების წესების დარღვევა, არასტერილური სამედიცინო იარაღების გამოყენება და შეუმოწმებელი სისხლისა და სისხლის პროდუქტების გადასხმა. ქრონიკული ინფექციის მქონე პირების მნიშვნელოვან ნაწილს უვითარდება ღვიძლის ციროზი ან კიბო.

საქართველოში ქრონიკული C ჰეპატიტით დაავადებულია დაახლოებით 150 000 ადამიანი, მათგან დიდმა ნაწილმა არ იცის საკუთარი დაავადების შესახებ.

ანტივირუსული ჰეპატიტების დახმარებით შესაძლებელია დაავადებულთა 95%-ზე მეტის სრულად განკურნება. ამჟამად არ არსებობს C ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინა, თუმცა ამ მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა.

2015 წლიდან საქართველოში დაიწყო C ჰეპატიტის ელიმინაციის უნიკალური პროგრამა, რომლის ფარგლებშიც საქართველოში ყველა მოქალაქეს აქვს შესაძლებლობა, განიკურნოს ამ დაავადებისგან.

პროგრამის ფარგლებში C ჰ ეპატიტზე სკრინინგი, სამკურნალო საშუალებები მოსახლეობას მიეწოდება უფასოდ.

ვირუსის გავრცელება შესაძლებელია ინფიცირებულ ადამიანთან სქესობრივი კონტაქტის დროს და ინფიცირებული დედიდან ნაყოფზე.

ვირუსი არ გადაეცემა ძუძუთი კვებით, კოცნით, ხელის ჩამორთმევით, ჩახუტებით, ინფიცირებულთაგან საკვების ან სასმელის გაზიარებით.

C ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირების მაღალი რისკის ჯგუფს მიეკუთვნებიან:

–ნარკოტიკების ინექციურად მომხმარებლები.

–ინტრანაზალური საშუალებების მომხმარებლები.

–ადამიანები, რომელთაც გადაესხათ სისხლი ან სისხლის პროდუქტები, ან ჩაუტარდათ სამედიცინო მომსახურება იმ დაწესებულებებში, სადაც ინფექციის კონტროლის პრაქტიკა არასათანადოდაა დანერგილი.

–ბავშვები, რომლებიც დაიბადნენ C ჰეპატიტით ინფიცირებული დედებისგან.

–პირები, რომლებსაც ჰყავთ მრავლობითი სქესობრივი პარტნიორები.

–აივ ინფექციით ინფიცირებული პირები.

–ყოფილი ან ამჟამინდელი პატიმრები.

–ადამიანები, რომელთაც აქვთ ტატუ ან პირსინგი.

C ჰეპატიტის ინკუბაციური პერიოდი 2 კვირიდან ერთ თვემდე გრძელდება.

ინფიცირების შემდეგ ადამიანებს დაახლოებით 80%-ს არ უვლინდება რაიმე სიმპტომი. მწვავე სიმპტომურ შემთხვევაში შეიძლება განვითარდეს ცხელება, დაღლილობა, მადის დაქვეითება, გულისრევა, ღებინება, მუცლის ტკივილი, შარდის გამუქება, რუხი ფერის განავალი, სახსრების ტკივილი და კანისა და თვალის სკლერის სიყვითლე.

C ჰეპატიტის ვირუსით დაინფიცირებული ადამიანი გადამდებია დაავადების განკურნებამდე. პაციენტი აღარ ითვლება გადამდებად დაავადების განკურნების დამადასტურებელი ლაბორატორიული ტესტირების შემდეგ.

C ჰეპატიტის მწვავე ინფექცია ჩვეულებრივად სიმპტომების გარეშე მიმდინარეობს. სწორედ ამიტომ აუცილებელია თითოეულმა ადამიანმა ჩაიტაროს სკრინინგი ანტი HEV ანტისხეულების სეროლოგიური ტესტით, რომელიც ავლენს იმ ადამიანებს, რომლებიც ამჟერად ან ოდესმე ინფიცირებული იყო C–ჰეპატიტის ვირუსით.

მას შემდეგ, რაც ადამიანს დაესმება ქრონიკული C ჰეპატიტის დიაგნოზი, უნდა შეფასდეს ღვიძლის დაზიანება, რაც ტარდება ღვიძლის ბიოფსიით, ღვიძლის ელასტოგრაფიით. დამატებით ტარდება ლაბორატორიული კვლევა C ჰეპატიტის გენოტიპის დასადგენად.

დღეისთვის საქართველოში, C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში, დაავადების მკურნალობა ხორციელდება თანამედროვე მიდგომებისა და საერთაშორისოდ მიღებული სტანდარტების გათვალისწინებით. თითოეული მოქალაქის მკურნალობის ხარჯებს სახელმწიფო სრულად აფინანსებს.

ვირუსული C ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინა არ არსებობს, ამიტომ მისი პროფილაქტიკა დამოკიდებულია ვირუსის გადაცემის რისკის შემცირებაზე სამედიცინო დაწესებულებებში და მაღალი რისკის მქონე ჯგუფებში.

რეკომენდაციები პირველადი პროფილაქტიკისთვის:

–ხელების ჰიგიენა, ხელების ქირურგიული დამუშავება, ხელების სწორად დაბანვა და ხელთათმანების გამოყენება.

–სამედიცინო ინექციების სწორად და უსაფრთხოდ შესრულება.

–სამედიცინო ნარჩენებისა და მჭრელი საგნების უსაფრთხო გაუვნებლობა.

–დონორული სისხლის ტესტირება B და C ჰეპატიტზე, აივინფექციაზე და სიფილისზე.

–სამედიცინო პერსონალის გადამზადება.

–კონდომის გამოყენების პრომოცია.

–მეორეული და მესამეული პროფილაქტიკა.

–ცნობიერების ამაღლება და კონსულტირება, სამედიცინო მეთვალყურეობა და მკურნალობა.

–B ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, რათა მოხდეს ამ ვირუსით ინფიცირებისა და ღვიძლის დამატებითი დაზიანების პრევენცია.

–ადრეულ ეტაპზე შესაბამისი მკურნალობა, საჭიროების შემთხვევაში ანტივირუსული თერაპია.

–რეგულარული მონიტორინგი ღვიძლის ქრონიკული დაავადებების დროული დიაგნოსტიკისთვის.




C ჰეპატიტის დადასტურების შემთხვევაში აუცილებელია, გამოვლენილიქნას ყველა სარისკო კონტაქტი და მიზიდულიქნა შემდგომი კვლევისთვის.

C ჰეპატიტის ინფექცია ფართოდ არის გავრცელებული მთელ მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც.

2016 წლიდან ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით და დახმარებით საქართველოში წარმატებით მიმდინარეობს სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის უფასო სკრინინგი C ჰეპატიტის, აივ-შიდსის და ტუბერკულოზით დაინფიცირებულთა გამოსავლენად.

ჩვენს მუნიციპალიტეტში სკრინინგი დაიწყო 2018 წელს და წარმატებით გრძელდება. სკრინინგის პროგრამა გაგრძელდება 2020 წლის ბოლომდე.

ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელთაც არ ჩაუტარებიათ სკრინინგი, კიდევ ერთხელ მოვუწოდებ, თავიანთი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით დაუყონებლივ მიმართონ სამედიცინო დაწესებულებებს.

***ჯუმბერ ტურავა,***
***ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე–ექიმი პროფილაქტიკოსი.***

## თ ა ო ბ ა



ესტატე შუშანიას სახელობის ხობის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის საჯარო სკოლას წელს ერთი მედალოსანი ჰყავს. საშუალო საფეხურის წარჩინებით დამთავრებისთვის ოქროს მედალს ირაკლი კვიკვინია მიიღებს.

სკოლის დირექტორი–**კობა კვიკვინია** იხსენებს: „პატარა იყო ირაკლი, როცა საჭადრაკო დაფასთან მოფიქრალი ვნახე და ვინატრე–ნეტა, ჩემი შვილი იყოს ასე გონიერი-მეთქი. მერე მოხდა ისე, რომ ორი წლის განმავლობაში მათემატიკას ვასწავლიდი და არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ ირაკლი ლიდერი იყო, ცოდნაც ჰქონდა და პასუხისმგებლობის გრძნობაც!“

მენტორი მასწავლებელი–**ნინელი (მზია) ხუხია**: „ქართულ ენასა და ლიტერატურაში რამდენიმე მოსწავლესთან ერთად ირაკლი გამორჩეული იყო. განსაკუთრებულად აღსანიშნავია მასში ლოგიკური და კრიტიკული აზროვნების უნარი. წლების განმავლობაში იგი იცავდა სკოლის ინტელექტუალთა გუნდების „ედემისა“ და „ნოეს კიდობანის“ ღირსებას რესპუბლიკურ კონკურსებზე „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“. მნიშვნელოვნად მიმაჩნია ისიც, რომ თემების წერისას კონკურსისთვის ნასწავლ საკითხებს ძალიან გონივრულად იყენებდა“.

ირაკლის დამრიგებელი–**გრიშა ხიმშიაშვილი**: „ყველანაირად მოწესრიგებული პიროვნებაა ირაკლი. არ მახსენდება მისი მხრიდან სერიოზული გადაცდომები ქცევაში. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ საგანში იყო ლიდერი, არასდროს დაუკარგავს გუნდურობის გრძნობა, იყო თანამშრომლობითი როგორც თანაკლასელებთან, ისე უფროსებთან ურთიერთობაში. უყვარს სპორტის სათამაშო სახეობები და არაერთხელ დაუცავს სკოლის და ხობის მუნიციპალიტეტის ღირსება რეგიონულ ჩემპიონატებზე“.

## „ადამიანი ფესვებს უნდა დაუბრუნდეს“

***ირაკლი, გილოცავ საშუალო საფეხურის ოქროს მედალზე დასრულებას...***

–გმადლობთ!

***გაგიძნელდა?!***

–არც ისე! თუ მიზანი რეალურია, მაშინ ის აუცილებლად შესრულდება!

***საყვარელი საგანი სკოლაში...***

–მათემატიკა...

***სავარაუდო პროფესია...***

–ბიზნეს-ადმინისტრირება...

***საყვარელი წიგნი...***

–სტენდალი–„წითელი და შავი“...

***საყვარელი ფილმი...***

–თემურ ბაბლუანის „უძინართა მზე...

***კლასგარეშე ლიტერატურას ბევრს კითხულობ?***

–ბოლო დროს არა. აბიტურიენტობა ამის საშუალებას ნაკლებად იძლევა.

***შენ დიდი ოჯახის წარმომადგენელი ხარ... მიგაჩნია, რომ გყავს ოჯახში ვინმე, ვისაც მიბაძავდი?***

–ბაბუა! საკმაოდ ასაკოვანია, მაგრამ არ ჩერდება! შრომობს მუდამ!

***თუ ეხმარები რამეში?!***

–როგორ არა! მცენარეების მოვლაში, საოჯახო საქმეებში...

***მახსოვს, ბებია როგორ გგულშემატკივრობდა პატარას... დაგყვებოდა ტურნირებზე, კონკურსებზე...***

–კი, ასე იყო... ბებიას დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს სასკოლო წარმატებებში. მე მისი მადლობელი ვარ!

***სამი თაობა ცხოვრობთ ერთ სახლში. არ არის რთული სამი თაობის ერთობლივი თანაცხოვრება?!***

–კი, ალბათ არის რთული, მაგრამ მე ეს ძალიან მომწონს! ვთვლი, რომ ეს ტრადიცია არ უნდა დაიკარგოს! სიხარულსაც ერთად ვიზიარებთ და პრობლემებსაც ერთად ვაგვარებთ. მგონია, რომ ასე უფრო საინტერესოა ცხოვრება.

***არა მგონია, ბევრი თანატოლი დაგეთანხმოს ამაში...***

–ყველამ თავისი გემოვნებით იცხოვროს! მე ასე მომწონს!

***როგორ დაახასიათებდი შენს თაობას? რა მოგწონს მათში და რა არ მოგწონს?***

–მგონია, რომ არა ვართ ცუდი თაობა. მომწონს ის, რომ ჩემი თანატოლები თამამები არიან, თავისუფლად გამოხატავენ აზრს და არ არიან დაკომპლექსებულები. არ მომწონს ის, რომ ვჩქარობთ. გვგონია, რომ ვიცით და სიჩქარეში ვუშვებთ შეცდომებს.

***რაზე ოცნებობ?!***

–სიამოვნებით ჩავიდოდი რამდენიმე ქალაქში...

***მაგალითად?!***

–რიო-დე-ჟანეიროში... ლონდონში... მილანში... პარიზში...

***როგორ ფიქრობ, წლების მერე უკან დაბრუნდები?!***

–არ ვიცი, რა მომავალი მექნება და ძნელია ისაუბრო, თქვა ამაზე, თუმცა მგონია, რომ ადამიანი ფესვებს უნდა დაუბრუნდეს!

**ფატიმა ქირია**

## „ხელოვანი– მშვენიერების შემოქმედი“

უკვე დიდი ხანია ხელნაკეთი ნივთები მაღალი პოპულარობით სარგებლობს. ეს საქმე, ერთგვარი შემოქმედებითი პროცესია. ძალიან მისასალმებელი და სასიხარულოა, როცა ადამიანებს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს, შესაძლებლობა აქვთ ამ სფეროში თავიანთი ფანტაზიები გამოავლინონ.

ამასწინათ სასიამოვნო გარეგნობის, ენამახვილ ახალგაზრდა ქალბატონს შევხვდი, მისგან პოზიტივი, დადებითი მუხტი მოდიოდა. აღმოჩნდა, რომ ვერიკო თოლორდავა თვითნასწავლი ხელოვანია და ულამაზეს ნივთებს ქმნის. დავათვალიერე მის გვერდზე ატვირთული საოცრად ლამაზი, დახვეწილი ნაკეთობები, უმეტესად ჩანთები და გადავწყვიტე მისი ნახელავი და ცოტა რამ მის შესახებ, თქვენც გაგაცნოთ.

ვერიკო სენაკში დაიბადა და გაიზარდა, იქ დაამთავრა საშუალო სკოლა. ადრევე, სიყვარულით შექმნა ულამაზესი ოჯახი საჯიჯაოელ თემურ კილასონიასთან და უსაყვარლესი ქალ-ვაჟის ნიაკოსა და გიორგის დედაა.

როგორც მომიყვა, სკოლის ასაკიდანვე ქსოვა კარგად გამოსდიოდა, შემდეგ ქალიშვილისთვის ულამაზეს თმის სამაგრებს ქმნიდა, შვილებისთვის ქსოვდა ტანსაცმელს. ყოველთვის ჰქონდა სურვილი რამე განსაკუთრებული ეკეთებინა და ერთ დღესაც მოვიდა იდეა, მუზაც და ულამაზესი ჩანთა გააკეთა, რომელმაც ახლობლებში დიდი მოწონება დაიმსახურა. მას შემდეგ მოზღვავდა სურვილი საქმის კეთებისა, ფანტაზია და ძირითადად ჩანთების შექმნით დაკავდა, ხელნაკეთ ნივთებში ნათლად ჩანს ადამიანის ხასიათი, ბუნება, მისი შინაგანი სამყარო. ვერიკოს ნაკეთობებიც მისი ბუნებიდან გამომდინარე, უმეტესად ფერადი და ბრჭყვიალაა. დამკვეთებიც ბლომად გამოუჩნდნენ...



–მსიამოვნებს როცა მოსწონთ ჩემი შექმნილი ჩანთები, ეს დიდ სტიმულს მაძლევს, უმეტესად ვიყენებ ფანელსა და ნაჭრის ძაფებს, ტყავს. ეს საქმიანობა დიდ დროს და ძალისხმევას მოითხოვს, მაგრამ ძალიან მიყვარს და ნასიამოვნები ვრჩები, როცა ჩემი შრომის შედეგით მეც და შემკვეთიც კმაყოფილნი ვრჩებით. თითოეული ნივთი ჩემთვის საყვარელი და ძვირფასია.



ჩემი შემოქმედების პირველი შემფასებელი ჩემი ქალიშვილია. მეც პატივს ვცემ მის გემოვნებას და





შეძლებისდაგვარად ვიზიარებ. ზოგადად, დამკვეთების გემოვნებასაც ვითვალისწინებ. ბედნიერი ვარ, როცა კმაყოფილი მომხმარებელი მყავს.

ვფიქრობ, უფრო მრავალფეროვანი გავხადო ჩემი შემოქმედება. ვგონებ, მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე არ შევწყვეტ ამ საქმიანობას,–მიყვება ვერიკო.

ნათქვამია, „ხელოვანი მშვენიერების შემოქმედიაო“

...და ახალგაზრდა ქალბატონს ვუსურვებ მისი მშვენიერი შემოქმედების სიმრავლეს, წარმატებებს პირად ცხოვრებასა და საქმიანობაში.

**ჯულიეტა ლატარია.**

### გილოცავთ!

## გოგიტა ქანთარიას



მარიამობის თვე დიდი სიხარულის მომნიჭებელია ჩვენთვის... თვე როდესაც ჩვენს პატარა სოფელს ესტუმრა, უსაყვარლესი და უთბილესი პატარა, რომელმაც დიდი სიხარული შემატა ოჯახსა და უბანს... სოფელში თავისი თბილი გულით შემოიტანა სიყვარული და სიხარული...

29 აგვისტოს დაიბადა ქვალონელი გოგიტა ქანთარია და მეზობლების სახელით ვულოცავთ, მშობლებს ხატია ოჩიგავას და გულადი ქანთარიას. უკვე ორი წლის ხდები ჩვენო დიდო სიხარულო, გილოცავთ და გეფერებით, გისურვებთ ლაღ და ბედნიერ ბავშვობას, უღრუბლო ზეცას, დაე, შენი თვალები და სახე მუდამ ბედნიერებით ანათებდეს... გფარავდეს მუდამ მარიამ ღვთისმშობელი... გვიყვარხარ ჩვენო თვალებხატულა პატარა ბიჭო...

**კეთილი სურვილებით**

**ჟული ბებო, ინეზა მამიდა, შორენა (ოენა) და დალი (დანი).**

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი (დირექტორი კობა კობახიძე).
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, ნინო სიჭინავა, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია, ნაირა ბერაია, ჯულიეტა ლატარია (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 599-50-40-57; 577 60-22-21.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.